პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 167 (9327)

ოთხშაბათი 16 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ჩაის კრეფის ტემპი უნდა გაძლიერდეს—**მოწინავე** (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება—საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

ვ. ნადეჟდინი—კაპიტალისტური მონოპოლიების შეტევა ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა საარსებო უფლებებზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

ძართული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანა ლენინისათვის (მე-2 გვერდი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის პრეზიდიუმის მისასალმებელი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ჩაის კრეფის ტემპი უნდა გაძლიერდეს

სუბტროპიკული რაიონების მშრომელები უაღრესად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. მათ ჩვენს ქვეყანას წელს სახელმწიფო გეგმით უნდა მისცენ 101 მილიონ კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მახარაძელთა მოწოდებას მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის გამოშვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ ჩაის კრეფის გეგმა. მოწინავე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეჩაიეები ბეჯითად შრომობენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი არადამაკმაყოფილებელია. ჩაის კრეფაში მკვეთრად ჩამორჩნენ ცხაკაიას, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, გალის, ბათუმისა და სხვა რაიონები.

ადგილებიდან მოსული სიგნალები მოწმობენ, რომ ზოგან არ დაიცვეს ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა და უხეშად დაარღვიეს აგროტექნიკური ლონისძიებანი; შემოსული ფოთოლი დროზე არ მოკრიფეს, რის გამო გაუხეშდა, ან მიმართავდნენ პლანტაციების „დასვენების“ დაგმობილ პრაქტიკას. ასეა, მაგალითად, წალენჯიხის რაიონში. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ელოდებოდნენ პლანტაციებში მთელი ფოთლის შემოსვლას საკრეფად, და ამ ლოდინში ხელიდან გაუშვეს საუკეთესო დრო, რამაც გაზარდა ფოთლის დანაკარგი. კოლმეურნეობათა შრომითი რესურსები მთლიანად არ არის გამოყენებული ჩაის საკრეფად. ვხედებით ბრიგადებსა და რგოლებში შრომის მოუწესრიგებლობას. ჩაის პლანტაციებს დროულად არ თოხნიან, რის გამო ბევრგან ჩაის ბუჩქები სარეველა ბალახებით არის დაფარული, რაც აფერხებს ბუჩქის ნორმალურ ზრდას და მაშასადამე, ყლორტების წარმოქმნას. ზობისა და წულუკიძის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის ბუჩქები დაფარულია სარეველათი და ამას რატომღაც ითმენენ ამ რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ამასთანავე მთელი რიგი ფაბრიკები არ იცავენ ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ რეჟიმს, რაც აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ასეა, მაგალითად, ბახვის, აჭყვის, წალენჯიხის მეორე, ორპირისა და სხვა ფაბრიკებში.

ჩაის კრეფაში ჩამორჩენას ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები უამინდობით ხსნიან. ცხადია, გაჭიანურებულმა გაზაფხულმა ხელი შეუშალა ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარებას და უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმაზე. მაგრამ შემდეგ ყველა საშუალება რადი გამოიყენეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამიტომ, სწორი არ იქნება, ჩამორჩენა „ობიექტური“ პირობებით ავხსნათ.

ჩაის ფოთოლი ახლა კარგად არის შემოსული. საუკეთესოდ მოწყობილი მუშაობით აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორება სწრაფად შეიძლება. უპირველესყოვლისა, საჭიროა ჩაის ფოთოლი იკრიფებოდეს განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, ამინდის ყოველგვარ პირობებში, რისთვისაც პლანტაციებში უნდა მოეწყოს ფარდულები. უაღრესად მტკიცედ უნდა ხორციელდებოდეს მოთხოვნა ჩაის კრეფის აგროწესების დაცვის შესახებ. შეუწყნარებელია მუშაობაში წუნი, უდარდელი მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი. სერიოზული საქმეა ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ადგილებზე სასტიკი კონტროლი უნდა დააწესონ ფოთლის კრეფის წესების დაცვისადმი.

არ შეიძლება შევიწყნაროთ ჩაის ბუჩქების მოუვლელობის არც ერთი შემთხვევა. ჩაის პლანტაციები საჭიროებენ დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავებას, მზრუნველ მოპყრობას. „ჩაის პლანტაციები, — გვასწავლის ამხანაგი ლ. პ. ბერია, — მოითხოვენ ყოველდღიურ მზრუნველობას, აგროწესების ყველა პუნქტის მტკიცედ შესრულებას და, რაც ყველაზე მთავარია, მათს თავის დროზე გამოყენებას. არც ერთ დღეს არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი მდგომარეობა, რომ პლანტაციები მოუვლელი დარჩეს“.

ამხანაგ ლ. ბერიას ეს მითითება ჩაის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საფუძვლად უნდა დაუდონ თავიანთ მუშაობას.

დიდი ამოცანები დგას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს ჩაის ტრესტის წინაშე. მათი უპირველესი მოვალეობაა გადაჭრით გააძლიერონ კონტროლი ჩაის ფაბრიკების მუშაობისადმი, სწრაფად გამოასწორონ დარღვევები ჩაის ფოთლის დამზადების, მიღების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების საქმეში, არ დაუშვან ჩაის ფოთოლზე სახელმწიფო სტანდარტის დარღვევის შემთხვევები, სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ამ საქმეში დამნაშავენი. მათ მთლიანად უნდა აღკვეთონ ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევები და მიაღწიონ უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების მაქსიმალურ გადიდებას.

ივლისი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. თვითეული დღე, თვითეული საათი ძვირფასია. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენებით უახლოეს დღეებში უნდა გამოვასწოროთ ჩამორჩენა ჩაის კრეფაში, მთელი ძალები დავრაზმოთ კრეფის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მეჩაიეებმა პირნათლად უნდა შეასრულონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეჯიბრებას მასობრივი ხასიათი მისცენ, დაეხმარონ შეჯიბრების მონაწილეებს დადგენილებით შეასრულონ კრეფის დღიური ნორმები. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას, მოწინავეთა გამოვლინებას, მათი მუშაობის მეთოდებისა და ხერხების ფართოდ გავრცელებას საკოლმეურნეო წარმოებაში.

ახლა, როცა წყდება ჩაის დამზადების წლიური გეგმის შესრულების ბედი, სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს მაღალ დონეზე აიყვანონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკებისადმი ხელმძღვანელობის დონე, გააძლიერონ მომთხოვნელობა მუშაობაში, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდონ მშრომელები ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. მათი მუშაობის თვითეული ნაბიჯი უნდა დაექვემდებაროს ჩაის ფოთლის დროულად და მაღალხარისხოვნად კრეფის და გადამუშავების ინტერესებს, სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების ინტერესებს.

ტოკიო

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს იაპონიის მომძმე კომუნისტურ პარტიას მისი ოცდაათი წლისთავს.

იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ განვლო იაპონიის მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხის მასების ინტერესებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა. იაპონიის კომუნისტური პარტია მამაცურად იბრძვის დღეს, როცა იაპონია ოკუპანტთა უღელქვეშ იმყოფება, ხოლო მისი ხალხი ეროვნულ დამცირებას განიცდის. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია რწმუნდებიან, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას ძალუძს გააერთიანოს იაპონიის დემოკრატიული ძალები და გამოიყვანოს იაპონია ეროვნული აღორძინების, ნამდვილი დემოკრატიის დამყარების, იაპონიის ეკონომიური აღმავლობის ორგანიზაციის ფართო გზაზე.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცდება საყოველთაო-სახალხო ბრძოლა იაპონიის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, უცხოეთის იმპერიალიზმისა და მისი იაპონელი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ. იაპონელი ხალხის ეს ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მშვიდობის შენარჩუნებისათვის შორეულ აღმოსავლეთში და მას მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები.

თავის 30 წლისთავს იაპონიის კომუნისტური პარტია ეგებება შეიარაღებული ახალი პროგრამით, რომელშიც განსახიერებულია იაპონელი ხალხის იმედი და მისწრაფებანი. ამ პროგრამის საფუძველზე პარტია კვლავ წარმატებით განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობას, როგორც იაპონიის პროგრესული ძალების გამარჯვების უპირველეს პირობას.

ვუსურვებთ იაპონელ კომუნისტებს ახალ წარმატებებს მათს სახელოვან გზაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს იაპონიის მომძმე კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

1952 წლის 14 ივლისი.

სრული დაჯვირთვით გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა მოსავლის აღებაზე

ჰექტარზე 30 ცენტნერი ხორბალი

წითელწყაროს. (სპეც. კორ.). ხორბლეულის მოსავლიანობის გასადიდებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრი ბრიგადირი დაწინაურდა. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ა. სეთური ხელმძღვანელობს. ბრიგადა წელს უხვ მოსავალს იღებს. 12-13 ივლისს ამ ბრიგადის ნაკვეთში—შირაქის ველზე ქედის მტს-ის კომბაინერებმა ა. ბექაურმა, გ. თინაშვილმა და შ. ბუთხუზმა პურეული მომკეს 50 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 30 ცენტნერი ხორბალი. ასეთი უხვმოსავლიანი მარტო ა. სეთურის ბრიგადაში 208 ჰექტარია.

წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლას წარმატებით ამთავრებს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადა, რომელსაც 7 წელია ხელმძღვანელობს კომუნისტი დ. ყოჩიაშვილი. აქ პურეული ასაღებია 400 ჰექტარი. ზოგან ხორბლის მოსავლიანობამ ჰექტარზე 29 ცენტნერსაც მიაღწია, ხოლო ქერის მოსავლიანობამ—37 ცენტნერს.

ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დაწინაურდა ამავე კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. ი. ლეკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში შარშან 210 ჰექტარი ახალი მიწა აითვისეს. ამ მიწებზე ახლა პურეულის ბარაქიანი ყანებია. თვითეულ ჰექტარზე 27-28 ცენტნერ ხორბალს იღებენ.

კომბაინერთა შეჯიბრება

ყვარელი. (საკ. კორ.). ენისლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერმა ნ. მეტრეველმა, რომელიც კაჭრეთის მტს-ის კომბაინერს ა. ათაბეგაშვილს ეჯიბრება, „სტალინეც-6“ კომბაინით 9 სამუშაო დღეში 140 ჰექტარი მომკა. უკანასკნელ ხანებში იგი ღამითაც შეუფერხებლად მუშაობს და 6-7 ჰექტარსა მკის. ტრაქტორისტი ბ. მირიანაშვილი „დტ-54“ მარკის ტრაქტორს კარგად ამუშავებს, მეშტურვალე გ. კაკუნაშვილი კომბაინერს წარმატებათა მოპოვებაში ნაყოფიერად ეხმარება. ნ. მეტრეველის აგრეგატს მტს-ის დირექციამ გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა.

კომბაინერი ნ. კურდღელაშვილი „სტალინეც-5“ კომბაინს მართავს. მან უკვე აიღო პირველი 100 ჰექტარი მოსავალი და ჰექტარზე 20-23 ცენტნერი „ლაგოდეხური ჯრეტელთავთავა“ გალეწა.

ზ. ელოშვილი „კომუნარს“ შეუფერხებლად ამუშავებს. სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მან 80 ჰექტარი მომკა. ის იბრძვის იმისათვის, რომ 300 ჰექტარზე აიღოს მოსავალი.

ყვარლის მტს-ის კომბაინერი გ. ხუციშვილი ახმეტელ კომბაინერს ს. რამაზაშვილს ეჯიბრება. მან სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 120 ჰექტარი მომკა. თვითეულ ჰექტარზე იგი საშუალოდ 20 ცენტნერ ხორბალს იღებს.

რაჭომ ჭიანურდება პურის მკა და დამზადება ლაგოდეხის რაიონში

მოწინავე კოლმეურნეობებმა „ლაგოდეხური გრძელთავთავამ“ ჯიშის ხორბლის კარგი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ ხორბლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაწოლილია. თავთავი იმტვრევა და ცვივა, იზრდება დანაკარგები. ეს მდგომარეობა რაიონში რატომღაც ნაკლებად იყო გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის აღება კარგა ხანია დაიწყო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კერძოდ კი მისი მტს-ების სამმართველოს უყურადღებობის გამო კომბაინთა უმრავლესობას ჩაწოლილი პურის ასაღები სპეციალური მოწყობილობა არ ჰქონდა.

მოსავლის აღებაზე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ როგორც მტს-ები, ისე ცალკეული კოლმეურნეობები. არ სრულდება პურის როგორც კომბაინებით, ისე ხელით აღების ხუთდღიური დავალებანი, ჭიანურდება პურის დამზადება.

შეუწყნარებელია, რომ აფენისა და ლაგოდეხის მტს-ებს ივლისის მეორე ხუთდღიურისათვის გათვალისწინებული ფართობის ერთი მესამედიც არ აუღიათ. როგორც ლაგოდეხის მტს-ის დირექტორი ამხ. პ. ქემოკლიძე, ისე აფენის მტს-ის დირექტორი ამხ. ვ. ბახტაძე ადვილად ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ მოსავლის გეგმები და კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებები შეუსრულებელი რჩებათ. ბევრგან კომბაინები არა თუ საათობრივი გრაფიკით არ მუშაობენ, არამედ ხშირად მომცდარი არიან და აღების დღიური დავალებას სანახევროდაც ვერ ასრულებენ, დღეში 10-12 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 3-4 ჰექტარზე იღებენ პურს. აფენის მტს-ის კომბაინერმა პ. ჯიოევმა ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში პური მხოლოდ 20 ჰექტარზე მომკა, ა. ცქიფურიშვილმა—19,5 ჰექტარზე. კომბაინერმა ლ. გაჩეჩილაძემ, რომელიც „სტალინეც-6“-ით მუშაობს, აიღო მხოლოდ 46 ჰექტარი.

აფენელმა მექანიზატორებმა ვერ უზრუნველყვეს კომბაინების კარგი მოვლა. მათ ვერ მოაგვარეს მკა არათუ ღამით, არამედ დღისითაც. ამიტომ არის, რომ აქ პური წლიური გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მეხუთედიც არ აუღიათ.

ცუდი მდგომარეობაა ლაგოდეხის მტს-შიც. აქ ხშირია ისეთი მოვლენა, რომ კომბაინით დღეში მხოლოდ რამდენიმე ჰექტარზე იღებენ პურს, ისიც ზერელედ, და დავალებას ვერ ასრულებენ. არიან ისეთი კომბაინერებიც, რომლებიც უყურადღებობით კომბაინს კიდევაც აზიანებენ. მაგალითად, ა. კევლიშვილმა სოფელ მსხალგორის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ორჯერ გადაწვა საკისარი და თითქმის ორი დღე მოაცდინა კომბაინი.

თავისი დაუდევრობით ასევე ნაწილი დააზიანა და კომბაინი მოაცდინა გ. ოკიაშვილმა.

მტს-ებმა სალეწების მუშაობაც ვერ მოაგვარეს. გარდა ორიოდე სალეწისა, უკანასკნელ დრომდე რაიონში ყველა სალეწი გამოუყენებელი იყო. სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე სალეწი მანქანა ხშირად მომცდარია, დღეში ათ ტონაზე მეტ ხორბალს ვერ ლეწავს, მაგრამ მტს-ის დირექციას იმის საშუალებაც არ აღმოაჩნდა, რომ მოძრავი სახელოსნოთი მაინც დახმარებოდა.

რაიონის კოლმეურნეობებშიც ჯერ კიდევ ყველგან არ ითვალისწინებენ იმ ზარალს, რაც შედეგად მოსდევს პურის აღების გაჭიანურებას. ზოგან, მიუხედავად დიდი ჩამორჩენისა, სამუშაოზე მთლიანად არ გამოჰყავთ მუშახელი, მატულობს დანაკარგები, არ სრულდება გეგმები. სოფელ საქობოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 218 ჰექტარი ხორბლიდან თითქმის ნახევარი აუღებელია, სუსტად იბრძვიან დანაკარგის წინააღმდეგ. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. სამუშაოს თითქმის ყოველდღე აცდენს კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ბარბაქაძე, არც პარტორგანიზაციის მდივანი ამხ ნ. ბებრიშვილი ზომებს არ იღებენ.

სოფელ თელას ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ბარბაქაძე) აღებული ფართობის დიდ ნაწილზე თავთავები აუკრეფავი დატოვეს. დიდია დანაკარგი ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაშიც.

შრომის მოუწესრიგებლობის, მოსავლის აღების გაჭიანურების ფაქტებს ვხედებით სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომაში“, სადაც წელს 670 ჰექტარი ხორბალი უთესიათ. აქ გაჭიანურეს სათესლე ნაკვეთების აღება, დაუშვეს ყანის გადამწიფება, რასაც შედეგად მოჰყვა თავთავების ჩაცვენა. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. გ. ნატროშვილი) ივლისის მეორე ხუთდღიურში მხოლოდ 103 ჰექტარი პური აიღო (აქედან 3 ჰექტარი სათესლე). თუ ასეთი ტემპით განაგრძეს მუშაობა, დარჩენილ ფართობზე მოსავლის აღება თვის ბოლომდე გაჭიანურდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დანაკარგს. შეუწყნარებელია ისიც, რომ ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის (ბრიგადირი ვ. ფოლადაშვილი) 9 ჰექტარ ყანაში თავთავების მთლიანად აკრეფამდე პირუტყვი შეუშვეს საძოვრად.

კოლმეურნეობებში ბევრგან ჭიანურდება მარცვლის გაწმენდა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა პირველ რიგში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მირიანაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პ. ბუცხრიკიძემ უნდა გააკეთონ.

ტ. თოდრაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ექსკურსიები ვოლგა-დონის არხზე

სტალინგრადი, 14 ივლისი. (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში სულ უფრო მეტი და მეტი ექსკურსანტი მოდის სტალინგრადში. ივლისის ორი კვირის მანძილზე აქ ხუთი ათასზე მეტი ექსკურსანტი ჩამოვიდა ციმბირიდან, ურალიდან, შუა აზიიდან, აზერბაიჯანიდან, ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან, კავკასიიდან და მეზობელი ოლქებიდან, რათა ნახონ აღორძინებული გმირი ქალაქი და ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. ექსკურსანტების გადმოსაყვანად გამოყოფილია „მოსკვიჩის“ ტიპის რამდენიმე თბომავალი.

არხზე ექსკურსიები პირველი რაბის რაიონებში, ვარვაროვკის წყალსაცავის ნაპირებზე მოაწყო აგრეთვე ათეულ ათასობით სტალინგრადელმა.

ვოლგა-დონის სანაოსნო ფლოტის შევსება

დონის როსტოვი, 14 ივლისი. (საკდესი). ახალ სანაოსნო მაგისტრალზე სამუშაოდ გემების დიდი ქარავანები მოდიან დნეპრიდან. გუშინ როსტოვის ნავსადგურში ჩამოვიდნენ გემები „ა. მარესიევი“, „ვ. ჩკალოვი“, „ა. პოკრიშკინი“ და ხუთი კარუპაი, რომელთაგან თვითეულის ტვირთამწეობა 800-1.000 ტონაა.

ციმლიანსკის ზღვაში მუშაობა დაიწყო რამდენიმე დიდმა საბუქსირო გემმა, მათ შორის გემებმა: „აკადემიკოსი ვავილოვი“, „აკადემიკოსი სკრიაბინი“ და სხვებმა, რომლებიც აქ ჩრდილოეთის მდინარეებიდან ჩამოვიდნენ.

ვოლგა-დონის სანაოსნოს როსტოვის, ციმლიანსკისა და სხვა ნავსადგურებში მოვიდა „მოსკვიჩის“ ტიპის ბევრი კომფორტაბელური სამგზავრო თბომავალი. ისინი უკვე დადიან ადგილობრივ ხაზებზე.

დღეს როსტოვის ნავსადგურში ვოლგის მხრიდან მოვიდა გემი „პობედა“.

სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლობაზე

ზაპოროჟიე. (საკდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგების დამთავრებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლებში. „უკრწყალმშენის“ კოლექტივმა ვოლგა-დონის მშენებლებს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომლითაც მათ ულოცავს დიდ გამარჯვებას.

სამხრეთ უკრაინაში მშენებლობის უბნებზე ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი წერილში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის. მექანიზატორები იბრძვიან მიწისსათხრელი აგრეგატების საპროექტო სიმძლავრის გადამეტებისათვის.

აღფრთოვანებით მუშაობენ ივანოვოს სარწყავი სისტემის მშენებლები. აქ უკვე გათხრილია 15 კილომეტრამდე მაგისტრალური არხი.

„უკრწყალმშენის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ფართოდ დანერგოს ტექნიკის გამოყენებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრესული მეთოდებით წარმოების მდიდარი გამოცდილება, რომელიც ვოლგა-დონის მშენებლებმა შეიძინეს.

იაროსლავლის ქარხნები—დიად მშენებლობებს

იაროსლავლი. (საკდესი). ქალაქის საწარმოები კომუნიზმის დიად მშენებლობებს უგზავნიან სხვადასხვა მანქანებსა და მოწყობილობას. ისინი უგზავნიან მათ ძლავრ ავტომობილებს, ელექტროაგრეგატებს, კომპრესორებსა და სხვა პროდუქციას.

დღეს საავტომობილო ქარხანამ კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლებს გაუგზავნა ავტომანქანების სათადარიგო ნაწილთა დიდი პარტია. რამდენიმე დღის წინათ „კუიბიშევჰიდრომშენსა“ და „სტალინგრადჰიდრომშენს“ გაეგზავნა ათტონიანი ავტომობილები.

ბევრ პროდუქციას უშვებს დიად მშენებლობათათვის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა. წლის დამდეგიდან ქარხანამ მათ გაუგზავნა ასობით სხვადასხვა ელექტრომოტორი. პროდუქციის ნაწილი გაგზავნილია უკვე მეოთხე კვარტალის ანგარიშში.

დიად მშენებლობათა საპატიო დაკვეთებს ვადამდე ასრულებს მანქანათმშენებელი ქარხნის „კრასნი მაიაკის“ კოლექტივი.

ბევრ პროდუქციას იძლევიან კომუნიზმის მშენებლობათათვის სალტეების ქარხანა, რეზინისა და ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა და ქალაქის სხვა საწარმოები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. მირიანაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვახტანგ ვასილის-ძე მირიანაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1952 წ. 15 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ს. ბედიაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე სპირიდონის-ძე ბედიაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1952 წ. 15 ივლისი.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბალავაძის მოხსენება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის მაისის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა, — თქვა ამხ. ბალავაძემ,—პირველი დღეებიდანვე მტკიცედ მოჰკიდა ხელი ოლქის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის საქმეს. მოკლე ხნის განმავლობაში ოლქის მთელ რიგ რაიონებში შემოწმებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისა და მისი ცხოვრებაში გატარების მდგომარეობა. გამომჟღავნდა საკოლმეურნეო ქონების, პროდუქტების, ფულადი სახსრების, პირუტყვისა და საზოგადოებრივი მიწების დატაცება-განიავების შემთხვევები ხობის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, გეგეჭკორის, მახარაძის, ზემო სვანეთის, ვანის, წყალტუბოს, ქუთაისის, ქლუხორის და სხვა რაიონებში. ბევრგან პარტიული და საბჭოთა ორგანოები წლების მანძილზე არ იღებდნენ გადამწყვეტ ზომებს დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ, კოლმეურნეობებიდან უკანონოდ წაღებული, განიავებული და დატაცებული პროდუქტების, მიწებისა და პირუტყვის დასაბრუნებლად.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში აშკარად ირღვეოდა საკოლმეურნეო დემოკრატია. ხშირად საკოლმეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, არტელის წევრთა საერთო კრების დასტურის მიუცემლად, თვითნებურად წყვეტდნენ კოლმეურნეობათა გამგეობები და თავმჯდომარეები.

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი საჭირო ზედამხედველობას არ ახორციელებდნენ, აჭიანურებდნენ კოლმეურნეობების მიერ აღძრული საქმეების ძიება-განხილვას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად პირველი ივლისისათვის კოლმეურნეობებს მთლიანად დაუბრუნდა დატაცებული მიწები. ამოღებულ იქნა და კოლმეურნეობებს დაუბრუნდა მილიონობით მანეთი დებიტორული დავალიანება, 2.453,6 ცენტნერი მარცვლეული, 51,3 ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქტები, 394,8 ცენტნერი სხვადასხვა პროდუქტები, 300 სული ცხენი, 266 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 4.017 ფრთა ფრინველი და სხვ.

მაგრამ ზოგიერთი რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებმა არ განახორციელეს ქმედითი ზომები დატაცებული ქონების კოლმეურნეობებისათვის დაბრუნებისა და დებიტორული დავალიანების განაღდებისათვის. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობებს დროზე არ დაბრუნებიათ 527,6 ცენტნერი მარცვლეული, 65 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 16 ცხენი, 91 სული ცხვარი და თხა და სხვ. საწარმო-დაწესებულებებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებზე დიდი რაოდენობით ირიცხება დებიტორული დავალიანება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნაკლოვანებანია მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საქმეში, რაც ამით გამოიხატება, რომ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის გაუთვალისწინებლად აწარმოებენ ზედმეტი ავანსების გაცემას, რითაც კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეთა შრომის ნაყოფით სარგებლობენ ზოგიერთი ზარმაცები, უქნარები, ვინც სხვადასხვა საბაბით თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო და რაიონული საბჭოს აღმასკომები საჭირო ზომებს არ იღებენ კოლმეურნეობებში აღრიცხვა-ანგარიშგების წესრიგზე მოსაყვანად, კოლმეურნეობებში არ აწყობენ დოკუმენტალურ რევიზიებს, არ ეხმარებიან მათ ანგარიშწარმოების მუშაკთა შერჩევისა და აღზრდის საქმეში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სარევიზიო კომისიები. ხშირად სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებად ირჩევენ ისეთ კოლმეურნეებს, რომლებსაც არ შესწევთ უნარი რევიზია გაუკეთონ კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობას.

პარტიის ზოგიერთმა რაიკომმა, რაიონულ საბჭოს აღმასკომმა და სოფლის მეურნეობის განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ დაამყარა საჭირო წესრიგი კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცების მხრივ, რის გამო წლის პირველ პერიოდში დაწესებული შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 17 პროცენტს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები ვერ ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლს, ხოლო პარტიის რაიკომები სათანადოდ არ ეხმარებიან საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ საქმეში სერიოზული ჩამორჩენაა. ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების და ერთწლიანი კულტურების თოხნა-კულტივაცია და სხვა სამუშაოები.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოების, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობების და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანაა, — თქვა დასასრულ ამხ. ბალავაძემ, — სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევებს, უზრუნველყონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე. მაღალხარისხოვნად შესრულება, მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით განაღდება.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ კ. ადამია (საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი), დ. ჭეიშვილი (მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ნ. კობახიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანი), ზ. კიკნაძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი), მ. კუჭავა (საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი) და სხვ.

პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ვ. მელქაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩევის გამო გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. რ. წულუკიძე.

გ ა ზ ე თ ი ს მ უ შ ა კ თ ა პ რ ა ქ ტ ი კ ა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან 15 მაისიდან პრაქტიკას გადიან რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაკები.

პრაქტიკა უკვე გაიარა რაიონული გაზეთების რედაქტორებისა და პასუხისმგებელი მდივნების ორმა ჯგუფმა ოცი ამხანაგის შემადგენლობით.

რაიონული გაზეთების მუშაკები რედაქციაში კონსულტაციებით, საწარმოო პრაქტიკით იღრმავებენ ცოდნას, ეუფლებიან საბჭოთა ჟურნალისტის პროფესიას, გაზეთის ტექნიკას.

ასეთ პრაქტიკას არაქართული გაზეთების მუშაკები გადიან გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციასთან.

1952-1953 წლების განმავლობაში პრაქტიკას გაივლის და კვალიფიკაციას აიმაღლებს რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების ყველა რედაქტორი და პასუხისმგებელი მდივანი.

ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღმავლობისათვის

ამ დღეებში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა თათბირი ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღმავლობისათვის მუშაობის საკითხებზე. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. შ. რადიანმა.

მოხსენება თემაზე:—„ლიტერატურული კრიტიკა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ 1951-1952 წლებში“ გააკეთა ამხ. შ. აფხაიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკოსი ისეთივე შემოქმედია, როგორც პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. კრიტიკოსი ისევე კარგად უნდა იცნობდეს ცხოვრებას, როგორც მწერალი. კრიტიკის მიზანი ის კი არ არის, რომ აწარმოოს ლიტერატურული მოვლენების ფიქსაცია, იყოს ამ მოვლენების უბრალო რეგისტრატორი, არამედ მისი დანიშნულებაა განუვითაროს მკითხველს მხატვრული გემოვნება, გაარკვიოს იგი იმ საკითხებში, რომლებსაც მის წინაშე საზოგადოებრივი ცხოვრება აყენებს, დაეხმაროს მწერლებს უკეთ ასახონ სინამდვილე. სამწუხაროდ, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ქართული ლიტერატურული კრიტიკა ამ ამოცანას თავს ვერ ართმევს. იგი ხშირად ვერ ახერხებს ნაწარმოების იდეურობისა და მხატვრული ოსტატობის ერთობლივ ანალიზს.

შემდეგ მომხსენებელმა გააშუქა თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის მტკივნეული საკითხები, ილაპარაკა ქართული ლიტერატურული კრიტიკის ზრდისა და განვითარების შემდგომ ამოცანებზე.

მომხსენებელი ლაპარაკობს ლიტერატურული კრიტიკის კონკრეტულ ნაკლოვანებებზე; ვრცლად განიხილავს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს და აღნიშნავს მის ჩამორჩენას. ის მოვლენა, რომ ხშირად კრიტიკოსი არ ეხმაურება ლიტერატურულ ფაქტს, — ამბობს მომხსენებელი, — ერთ-ერთი გამოვლინებაა უპრინციპობისა. „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციის ნაკლად მომხსენებელი აცხადებს იმას, რომ გაზეთის ფურცლებზე არ დაბეჭდილა სტატიები კრიტიკოსების მუშაობის შესახებ, არ გარჩეულა არც ერთი შრომა ლიტერატურული კრიტიკიდან, ლიტერატურათმცოდნეობიდან. ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საკითხების გაშუქებას. თითქმის ყურადღების გარეშეა საბავშვო ლიტერატურა.

თათბირმა მოისმინა ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენება—„ლიტერატურული კრიტიკა ჟურნალ „მნათობში“ 1951-1952 წლების მანძილზე“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკა ვალდებულია სწორი ანალიზი გაუკეთოს მხატვრულ ნაწარმოებს. ამ საპატიო მოვალეობას ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის ვერ ასრულებს, ჩამორჩება მწერლობის განვითარების დონეს. ჩვენ, კრიტიკოსები, — თქვა მომხსენებელმა,—არ ვიბრძვით ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ლიტერატურული კრიტიკის მუშაკები ვერ ვიყენებთ იმ პირობებს, რომლებიც ჩვენშია, არ ვაწარმოებთ საჭირო ბრძოლას კრიტიკის განვითარებისათვის.

რედაქციები და გამომცემლობები გულისხმიერებას არ იჩენენ კრიტიკოსებისადმი, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კრიტიკოსთა შემოკრებას თავის გარშემო. იმისათვის, რომ ლიტერატურული კრიტიკა განვავითაროთ, საჭიროა კრიტიკული წერილების განხილვის ფართო ორგანიზაცია. ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ჩვენ ვართ, კრიტიკოსები, რადგან არ ვმუშაობთ ინტენსიურად. ამასთანავე ამ მნიშვნელოვანი საქმის განვითარებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ რედაქციები. ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე არ თავსდება თეორიული წერილები ლიტერატურაზე. ჟურნალის კრიტიკის განყოფილებამ ვერ გააშუქა ისეთი საკითხები, როგორიც არის პროზის ჩამორჩენა, დრამატურგიის საკითხი და სხვ.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ ხშირად რეცენზენტი რომელიმე მწერლის შემოქმედებას განიხილავს მცირე მოცულობის წერილში, ამიტომ ვერ აღწევს მიზანს. მომხსენებელი ასახელებს რამდენიმე კრიტიკულ სტატიას და ლაპარაკობს მათ ნაკლოვან მხარეებზე. ჟურნალის ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში უმეტესად ახალგაზრდა კრიტიკოსების წერილები იბეჭდება. გამოცდილმა კრიტიკოსებმა კი ბიბლიოგრაფია მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნიეს. ეს კარგია, ახალგაზრდებს რომ ვაწინაურებთ და კიდევაც უნდა შევუწყოთ ხელი მათს გაბედულად დაწინაურებას, მაგრამ გამოცდილმა კრიტიკოსებმა ბიბლიოგრაფიების წერაზე ხელი არ უნდა აიღონ. შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ლიტერატურული კრიტიკის უახლოეს ამოცანებზე.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კრიტიკოსებმა, მწერლებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა: ს. მთვარაძემ, ა. გაწერელიამ, ლ. კალანდაძემ, ს. ჭილაიამ, ს. ცაიშვილმა, ე. ქარელიშვილმა, გ. ნატროშვილმა, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა. მათ ილაპარაკეს ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზებზე, მისი განვითარების ამოცანებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული მწერალთა კავშირის თათბირებისა და დისკუსიების ნაკლოვანებანი, ეს თათბირიც არ იყო დაზღვეული ზოგიერთი სერიოზული ხარვეზისაგან. თათბირის სხდომები კვლავ დაგვიანებით იწყებოდა. სიტყვით გამოსული ზოგიერთი ამხანაგი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცვლად პირადი ანგარიშების გასწორებას ცდილობდა.

კარგი იქნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მომავალ მუშაობაში გაითვალისწინოს ეს და მეტი ყურადღება დაუთმოს თათბირების უკეთ ორგანიზების საკითხს.

მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება—საპატიო ამოცანაა

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევსაგრეხ ფაბრიკას მიმდინარე წლის პირველ თვეებში საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლები საგრძნობლად დაბალი ჰქონდა. ფაბრიკის კოლექტივმა პირველი კვარტალის ბოლოს დასახა ღონისძიებანი, რათა ფართოდ დაენერგა წარმოებაში მსუბუქი მრეწველობის ნოვატორთა გამოცდილება და მუშაობის მეთოდები, უზრუნველეყო საწარმო გეგმის შესრულება, გაეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი, დაეზოგა ნედლეული, შეემცირებინა ხამი აბრეშუმის ძაფისა და კრეპის თვითღირებულება.

ფაბრიკის ცალკეული ბრიგადები დაეუფლნენ წარმოების ნოვატორის ციალა ღლონტის მუშაობის ხერხებს. საერთო-საფაბრიკო საწარმოო თათბირებზე სისტემატურად ვამუშავებდით და ვეცნობოდით ძაფის ორი ხელით ამოხვევის მეთოდებს. ფაბრიკის დირექციამ შექმნა ნოვატორის მეთოდების შემსწავლელი ტექნიკური წრეები, რომლებშიც მასობრივად არიან ჩაბმულნი ძაფსახვევი წარმოების ყველა პროფესიის მომუშავენი. მეცადინეობა წარმოებს როგორც პრაქტიკულად დაზგებზე, ისე თეორიულად. ფაბრიკაში დღითიდღე იზრდება ახალი მეთოდით მომუშავეთა რიცხვი. შეიქმნა როგორც ერთდაზგოსანთა, ისე მრავალდაზგოსანთა ბრიგადები. აღნიშნული ბრიგადების და ცალკეულ მომუშავეთა შრომის შედეგები სისტემატურად მოწმდება.

მუშაობის ასე წარმართვამ კარგი შედეგი გამოიღო. საგრძნობლად ამაღლდა ხამი აბრეშუმის ძაფისა და კრეპის ხარისხი. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, საამქროთა რიტმული მუშაობის შედეგად ამაღლდა საწარმოო მაჩვენებლები. ივნისში, როგორც კი ფაბრიკა ახალი მოსავლის პარკის დამუშავებაზე გადავიდა, პროდუქციის ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა, პირველი ხარისხის პროდუქციამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25-სა, 39 პროცენტს მიაღწია.

ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოსებმა მოწინავე სტახანოველებთან ერთად დასახეს ღონისძიებანი იმის მისაღწევად, რომ უახლოეს დროში ფაბრიკის მიერ გამომუშავებული პროდუქცია მთლიანად პირველი და მეორე ხარისხისა იყოს. ჯერჯერობით საცდელად გამოყოფილია ორი ბრიგადა. მათ უნდა მიაღწიონ 50 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ბრიგადების გამოცდილება შემდეგ დანერგილი იქნება მთელ ფაბრიკაში. ამ მუშაობას ფაბრიკაში ხელმძღვანელობს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიერო ლაბორატორიის მთავარი ინჟინერი ამხ. თ. ჩხეიძე.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პარალელურად ძაფსახვევ საამქროში ხორცელდება ნედლეულის ეკონომიის ღონისძიებანი. ამ საქმეში საამქროს კოლექტივს დიდ დახმარებას უწევს ამხ. ციალა ღლონტი, რომელიც ძაფის ამომხვევებისათვის პრაქტიკული ინსტრუქტაჟის გაწევასთან ერთად ასწავლის მათ ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვას.

ფაბრიკის კოლექტივი ამ პირველი წარმატებებით არ დაკმაყოფილდება. ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ შემდგომ ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, დავზოგოთ მეტი ნედლეული და შევამციროთ თვითღირებულება.

ი. ბერიშვილი,
მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

კაპიტალისტური მონოპოლიების შეჯვარა ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა საარსებო უფლებებზე

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მთავარი ნიშნებია მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი, ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური ძარცვის გზით, დასასრულ, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად. ამ კანონის მოქმედება განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უოლ-სტრიტის ერთმა მუჭა ფინანსურმა მესვეურებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მთელი ეკონომიკა და დაიმორჩილეს მთელი სახელმწიფო აპარატი. ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიები დაინტერესებული არიან ომის ფსიქოზის გაღვივებით, კორეაში სისხლისმღვრელი ომის გაფართოებით. ისინი ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკას წარმართავენ მილიტარიზაციისა და ფაშიზაციის გზით, ეწევიან გააფთრებულ შტეევას ამერიკელ მშრომელთა საარსებო უფლებებზე.

ამერიკის მშრომელთა მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. იზრდება უმუშევართა არმია, ძლიერდება ექსპლოატაცია, მცირდება რეალური ხელფასი, მატულობს პირველი საჭიროების საგნების ისედაც მაღალი ფასები, ღატაკდებიან წვრილი ფერმერები. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები სულ უფრო ზრდიან გადასახადთა ტვირთს, მშრომელებს აკისრებენ სამხედრო ხარჯების სიმძიმეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის მასების გაჭირვებულ მდგომარეობას, მშრომელთა შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების გაძლიერებას დამაჯერებლად მოწმობს მასალები მეათე კრებულისა „ფაქტები მშრომელთა მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში (1949-1950 წწ.)“, რომელიც გამოსცა „პროგრესულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ — შრომის პრობლემათა გამოკვლევის ასოციაციამ.* კრებულში გაშუქებულია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, იგი შეიცავს დიდ ფაქტიურ მასალას მონოპოლისტთა მოგების ზრდის, ხელფასის დონის დაცემის, მშრომელთა საარსებო დონის დაქვეითების, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტური რეაქციის თარეშის შესახებ.

I.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ქვეყნის მთელი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე გადაიყვანეს. ამერიკის კაპიტალისტები ვარაუდობენ გააფთრებული მილიტარიზაციით, კორეაში ომის გაფართოებით ჰპოვონ გამოსავალი ეკონომიური კრიზისიდან.

როგორც ცნობილია, სამხედრო წარმოების დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1948 წლის ოქტომბრიდან 1949 წლის ოქტომბრამდე 22 პროცენტით დაეცა. წარმოების შემდგომი დაცემა რომ შეეჩერებინათ, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა კორეაში გააჩაღეს სისხლისმღვრელი ომი, რომლის გეგმებს უკვე დიდი ხანია ამზადებდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის გადასვლამ სიკვდილის იარაღთა გამოშვებაზე, ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული დამპყრობლური გეგმების მომსახურებაზე ზღაპრული შემოსავალი მოუტანა კაპიტალისტურ მონოპოლიებს. კაპიტალისტური კორპორაციების მოგება 1939 წლის 6,5 მილიარდი დოლარიდან 1951 წელს 60 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ე. ი. ათჯერ გადიდდა. 1950 წელს, კორეაში ომის დაწყების შემდეგ, ისეთი მსხვილი მონოპოლიების მოგება, როგორიც არის „ჯენერალ მოტორსი“, გადასახადების გამოკლების შემდეგ შეადგენდა 834 მილიონ დოლარს ნაცვლად 1943 წლის 150 მილიონი დოლარისა; „დიუპონ დე ნემურისა“ — 308 მილიონ დოლარს, ნაცვლად 70 მილიონი დოლარისა; „ფოლადის ტრესტისა“ — 215 მილიონ დოლარს, ნაცვლად 63 მილიონი დოლარისა; „ჯენერალ ელექტრიკისა“—173 მილიონ დოლარს, ნაცვლად 1943 წლის 45 მილიონი დოლარისა.

ეს ციფრები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ კორეელი ხალხის სისხლით ამერიკელი მონოპოლისტები მილიარდობით დოლარ ახალ მოგებას იღებენ. ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიებისათვის ომი ხელსაყრელი ბიზნესია. ამიტომ ისინი დაინტერესებული არიან ომის ყოველნაირად გაფართოებით.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები, ამზადებენ რა ომს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, წლითიწლობით ადიდებენ ასიგნობებს გამალებული შეიარაღებისათვის, უზარმაზარი სახმელეთო, საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენახვისათვის.

კრებულში მოყვანილი ოფიციალური მონაცემებითაც კი, რომლებიც მნიშვნელოვნად შემცირებულია, პირდაპირი სამხედრო ხარჯები 1949-1950 საბიუჯეტო წლის 17,7 მილიარდი დოლარიდან 1951-1952 საბიუჯეტო წელს 62,7 მილიარდ დოლარამდე გადიდდა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ბიუჯეტის 87,6 პროცენტს შეადგენს. სინამდვილეში გამალებული შეიარაღების ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება ამ თანხას. მაგალითად, მიმდინარე საბიუჯეტო წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეიარაღებაზე 77.250 მილიონი დოლარი გადადო.

II.

იმპერიალიზმი მშრომელებს საშინელ გაჭირვებასა და ტანჯვას განუმზადებს. კრებულში მოყვანილი ფაქტები და ციფრები მჭევრმეტყველურად მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელი მასების გაღატაკების ზრდას.

ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასის უბედურებაა უმუშევრობა. აშკარად შემცირებული ოფიციალური მონაცემებით, 1950 წლის ოქტომბრის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 მილიონი უმუშევარი და ნახევრადუმუშევარი (არასრულ სამუშაო კვირას მომუშავე) იყო. კაპიტალისტთა სხვადასხვა დამქაშების — მემარჯვენე სოციალისტების, პროფკავშირული ბონზების ზღაპრები იმის შესახებ, რომ სამხედრო წარმოების ზრდა ყველას უზრუნველყოფს სამუშაოთი, ულმობლად გააბათილა ამერიკის დუხჭირმა სინამდვილემ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო წარმოების გაჩაღებას თან ახლავს მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერება. იზრდება შრომის ინტენსიფიკაცია, მატულობს სამუშაო დღის ხანგრძლივობა. 1949 წელთან შედარებით სამუშაო დღის ხანგრძლივობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 საათით გადიდდა. მაგრამ კაპიტალისტები სამუშაო დღის ასეთ გადიდებასაც არ სჯერდებიან. ისინი ცდილობენ მიაღწიონ სამუშაო დღის ახალ გადიდებას ზედმეტ საათებში მუშაობის აუნაზღაურებლად.

აძლიერებენ რა შრომის ინტენსიფიკაციას, კაპიტალისტები ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ მუშათა ხელფასი. ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა რეალური ხელფასი კორეაში სისხლისმღვრელი ომის დაწყების შემდეგ მკვეთრად დაეცა. ახლა მუშები თავიანთი შრომის გაცილებით ნაკლებ საზღაურს იღებენ, ვიდრე 1945 წელს, ცხოვრების ღირებულება და გადასახადები კი მნიშვნელოვნად გადიდდა.

საავტომობილო მრეწველობის მუშის საშუალო ხელფასი მთელ კვირას მუშაობისას შეადგენს კვირაში 65 დოლარს, მაშინ როცა საავტომობილო კომპანია „ჯენერალ მოტორს კორპორეიშნის“ პრეზიდენტი ჩარლზ ი. ვილსონი კვირაში იღებს 11.271 დოლარს, ხოლო მეორე კაპიტალისტური მონოპოლიის ვიცე-პრეზიდენტი ლუის ბ. მეიერი—8.734 დოლარს. მრეწველობის მესვეურთა ამ „ხელფასში“, რა თქმა უნდა, არ შედის შემოსავალი კოლოსალური მოგებით, რასაც უმსხვილესი მონოპოლიები სამხედრო მიწოდებებით იღებენ.

გამალებული შეიარაღების, კორეაში დანაშაულებრივი ომის კოლოსალურ ხარჯებს იმპერიალისტები ფარავენ მშრომელთა გადასახადების გადიდებით, ხალხის მასების საშინელი ძარცვით. მოსახლეობის გადასახადები წლითიწლობით მატულობს. მაგალითად, 1940-41 საბიუჯეტო წელს მოსახლეობის გადასახადები 7,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1950-51 წლებში კი, ძლიერ შემცირებული ოფიციალური მონაცემებით, ამ გადასახადებმა 41,3 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1951-1952 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი ითვალისწინებს მოსახლეობისაგან 67,6 მილიარდი დოლარი გადასახადების აკრეფას, რაც 11-ჯერ მეტია 1937-1938 წლების გადასახადებზე. ამასთან ამ ციფრში არ შედის ადგილობრივი გადასახადები, რაც ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა. თავისი პრეზიდენტობის ექვსი წლის განმავლობაში ტრუმენმა აკრიფა 277 მილიარდი დოლარი გადასახადები, ესე იგი მეტი, ვიდრე ერთად აღებულმა წინა 31 პრეზიდენტმა, რომლებმაც თავიანთი მმართველობის დროს 256 მილიარდი დოლარი აკრიფეს. 1952 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მუშები და მოსამსახურეები გადასახადებსა და სოციალურ დაზღვევაზე თავიანთი შეკვეცილი ხელფასის 50 პროცენტს ხარჯავენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც მძიმე გადასახადებით ბეგრავს მშრომელებს, ყოველნაირად იცავს დაბეგვრისაგან მსხვილ მონოპოლისტთა მოგებას. მაგალითად, ამერიკის მთავრობის მიერ 1950 წლის დამლევს მიღებულმა საგადასახადო კანონმა 20 პროცენტით გაადიდა გადასახადი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე, მილიონერებსა და მილიარდერებს კი სხვადასხვა შესაძლებლობა დაუტოვა გადასახადისაგან თავის დასაძვრენად. ამ კანონის მიხედვით გადასახადი მუშის ოჯახზე, რომელიც ოთხი წევრისაგან შედგება და წელიწადში 3-დან 5 ათასამდე დოლარი შემოსავალი აქვს, გადიდებულია 20,5 პროცენტით, ასევე შემადგენლობის ოჯახზე კი, რომლის წლიური შემოსავალი ერთ მილიონ დოლარს შეადგენს, გადასახადი გადიდებულია მხოლოდ 11,5 პროცენტით.

ომისშემდგომ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად გადიდდა ფართო მოხმარების საქონლის ფასები. მაგალითად, შალის ქსოვილების საბითუმო ფასები 1951 წლის აპრილში 1950 წლის პირველ ნახევართან შედარებით 66 პროცენტით გადიდდა, ბამბის ქსოვილებისა — 35 პროცენტით, ტყავის ნაკეთობისა — 29 პროცენტით. გადიდდა კვების პროდუქტების ფასებიც. კარაქის ფასი იმავე პერიოდში გადიდდა 10 პროცენტით

* „ფაქტები მშრომელთა მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში (1949-1950 წწ.)“. თარგმანი ინგლისურიდან. საზღვარგარეთული ლიტერატურის გამომცემლობა, მოსკოვი, 1952 წ., 198 გვ., ფ. 6 მან. 50 კაპ.

აბ დავინდოთ საკოლმეურნეო დოვლათის დამფაცებლები

საკოლმეურნეო საკუთრების მტაცედ დაცვისათვის სტალინირის რაიონში გაჩაღებულია მუშაობა. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 228 ჰექტარი მიწა, რომელსაც წლების მანძილზე უკანონოდ ფლობდნენ სხვადასხვა პირები და ორგანიზაციები. კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ ასეულ ათასობით მანეთი ფული, ასობით სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, დიდძალი პროდუქტები.

მაგრამ საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებათა ლიკვიდაციის დარგში მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონის კოლმეურნეობებს დებიტორული დავალიანებიდან 1 ივლისისათვის ჯერ კიდევ დაუბრუნებელი ჰქონდათ 414.000 მანეთი. სოფელ ქსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დებიტორული დავალიანება 61.612 მანეთს შეადგენს. აქედან დებიტორთა ნაწილს სასამართლომ ჯარგა ხანია მიუსაჯა დაუყოვნებლივ გაასწორონ ანგარიში კოლმეურნეობასთან, მაგრამ დღემდე საქმე ადგილიდან არ იძვრის. გვიანდება ამავე კოლმეურნეობიდან საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემული 21.818 მანეთი დებიტორული დავალიანების საქმის გარჩევა. სოფელ ზალდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. გაბარაევმა სხვადასხვა დროს კოლმეურნეობას წაგლიჯა 16.000 მანეთი. ჯარგა ხანია მას აფრთხილებენ დაუბრუნოს კოლმეურნეობას უკანონოდ მითვისებული ფული და პროდუქტები. გაბარაევი ჯიუტობს და ჩადენილ დანაშაულს არაფრად აგდებს. 9.000 მანეთი არ გადაუხდია კოლმეურნეობისათვის სოფელ მახისის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ა. თუაევს.

სოფელ ხელჩუის კოლმეურნეობისათვის დებიტორებს არ დაუბრუნებიათ 11.140 მანეთი. აქედან კოლმეურნე ნ. ფუხაევზე ირიცხება 6.750 მანეთი. დებიტორული დავალიანებიდან თვალსაჩინო თანხა რჩება დასაბრუნებელი სოფელ ხეთაგუროვის (74.501 მანეთი), სოფელ გომის (26.400 მანეთი) და სხვა კოლმეურნეობებში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ იჩენენ შემარიგებლობას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისადმი, სუსტად იბრძვიან დამახინჯების გამოსასწორებლად. ასე, მაგალითად, სოფელ სარაბუკის კოლმეურნეობაში მოკალათებულნი საზოგადოებრივი მეურნეობის მტრები დღემდე არ უნაზღაურებენ კოლმეურნეობას მიყენებულ ზარალს — 21 სულ მსხვილფეხა და 80 სულ წვრილფეხა პირუტყვს. სოფელ ანდორეთის კოლმეურნეობისათვის ბორტმოქმედებს არ დაუბრუნებიათ (1 ივლისის ცნობებით) 9 სული მსხვილფეხა და 4 სული წვრილფეხა პირუტყვი. სოფელ არკინარეთის კოლმეურნეობას არ დაბრუნებია მისთვის უკანონოდ წაგლეჯილი 45 სული წვრილფეხა და 15 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ხშირად ირღვეოდა საკოლმეურნეო დემოკრატია სოფელ არცევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წლების განმავლობაში საკოლმეურნეო წყობილების მტრები ითვისებდნენ და ანიავებდნენ საზოგადოებრივ დოვლათს. ბევრი დამნაშავე დასჯილია. მაგრამ ზოგი ჯერ კიდევ იძვრენს თავს მკაცრი სასჯელისაგან. მაგალითად, კოლმეურნეობის საწყობის გამგე ბ. კაზიშვილი, რომელსაც 74 კილოგრამი ყველის „დანაკლისი“ აღმოაჩნდა, თავს არხეინად გრძნობს, კოლმეურნეობისათვის არ დაუბრუნებია მითვისებული პროდუქტი. მთელი რიგი ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით, ყოველნაირად უნდა გააძლიერონ ბრძოლა საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა სწრაფად და მთლიანად აღმოფხვრისათვის.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შოთა რუსთაველის სახელობის სუხუმის სახელმწიფო კინოთეატრის ახალი შენობა.
ფოტო გ. კვირკველიასი.

ახალი საზაფხულო კინოთეატრი სუხუმში

სუხუმი. („კომუნისტის“ კორ.). სულ უფრო და უფრო იცვლის სახეს საქართველოს უმშვენიერესი ქალაქი სუხუმი. მას განუწყვეტლივ ემატება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურული ნაგებობანი.

ახლახან სუხუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საზაფხულო კინოთეატრი, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორი თ. კობახიძე. შენობა აგებულია ქართული არქიტექტურული სტილით, მასში უხვად არის გამოყენებული ქართული ორნამენტული მოტივები. მაყურებელთა კომფორტაბელური დარბაზი გათვალისწინებულია 600 კაცისათვის.

კინოთეატრის წინ გაშენებულია დეკორაციული მცენარეების სკვერი.

„სუხუმმშენმა“, რომელსაც დავალებული ჰქონდა კინოთეატრის მშენებლობა, ყველა სამუშაო ხარისხიანად შეასრულა. ახალი კინოთეატრის მშენებლობაში სუხუმის მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). სრულიად საკავშირო გასტროლო ბიურომ გადაწყვიტა ვოლგისა და ურალის მთელ რიგ ქალაქებში გასტროლოდ გაგზავნოს ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

ანსამბლის გასტროლები ამ მხარეებში სექტემბრამდე გასტანს.

შეხვედრა ა. ხორავასთან და ა. ვასაძესთან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ორიოდე დღის წინათ კულტურის სახლში გაიმართა ქუთაისელ მშრომელთა შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატებთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტებთან ა. ხორავასთან და ა. ვასაძესთან.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა დოცენტმა კ. მეძველიამ, რომელმაც ილაპარაკა ა. ხორავასა და ა. ვასაძის დამსახურებაზე ჩვენი ქვეყნის თეატრალური კულტურის განვითარების დარგში. სტუმრებს მიესალმნენ ქალაქის ახალგაზრდობის სახელით ქალთა მეორე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ზ. თედორაძე და ქალაქის მშრომელი ინტელიგენციის სახელით პოეტი დ. კვიცარიძე.

ა. ხორავამ და ა. ვასაძემ, მადლობა გადაუხადეს რა ქუთაისელ მშრომელთა წარმომადგენლებს, ილაპარაკეს რუსთაველის თეატრის მომავალი მუშაობის პერსპექტივებზე.

შეხვედრა დასრულდა კონცერტით.

ახალი წიგნები

„საქწიგნის“ გამოცემათა ბაზამ ხელისმომწერთათვის მიიღო შემდეგი წიგნები:

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომი (ქართულ ენაზე);

„დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ (მეორე გამოცემა) მე-8 ტ.;

ი. პ. პავლოვის რჩეულ ნაწარმოებთა მე-2 ტომის 1-ლი და მე-2 ნაწილი, მე-3 ტომის 1-ლი და მე-2 ნაწილი, მე-4 და მე-5 ტომები;

ა. ხ. მაკარენკოს თხზულებათა მე-5 ტომი;

ა. ნ. ტოლსტოის რჩეული ექვსტომეულის მე-3 და-მე-4 ტომები;

ანდერსენ-ნექსეს ნაწარმოებთა კრებულის მე-2 ტომი;

„საბჭოთა მედიცინის გამოცდილება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ — მე-4, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე ტომები;

ვ. რ. ვილიამსის თხზულებათა კრებულის მე-8 და მე-9 ტომები;

„მანქანათმშენებლობის ცნობარის“ მე-2 ტომი;

„სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიის“ მე-2 ტომი;

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის თხზულებათა სრული კრებულის მე-6ა, მე-6ბ და მე-6ვ ტომები;

„რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის „იზვესტიას“ 34-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე და 38-ე ნაკვეთები;

„საკოლმეურნეო ხაწარმოო ენციკლოპედიის“ 1-ლი და მე-2 ტომები;

„რკინიგზელის ტექნიკური ცნობარის“ მე-5 და მე-8 ტომები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის პრეზიდიუმის მისასალმებელი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი

ბერლინი, 14 ივლისი. (საკადესი). ადნ-ის საგანგებო იუწყება:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის პრეზიდიუმმა ამხანაგ ი. ბ. სტალინს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენცია უმხურვალეს საბრძოლო სალამს გიძღვნით პირადად თქვენ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს.

გერმანიის მუშათა კლასი და გერმანელი ხალხის მთელი პატრიოტული ძალები ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი ძალუძთ, რათა წარმატებას მიაღწიონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლაში. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მეორე პარტიული კონფერენცია მადლობას გიძღვნით თქვენ და დიდ საბჭოთა ხალხს ეკონომიური და ტექნიკური დახმარებისათვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანელი ხალხის ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

მუშათა კლასი და ყველა მშრომელი კიდევ უფრო მეტ ღონეს იხმარენ, რათა განამტკიცონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-დემოკრატიული საფუძვლები, დაიცვან სამშობლო და მშვიდობიანი მშენებლობა შეიარაღებული ძალების შექმნის გზით და წარმატებით ააშენონ სოციალიზმის საფუძვლები.

მუშათა კლასსა და ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელს შეგნებული აქვთ, რომ ჩვენი ერისათვის სასიცოცხლო საკითხები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ დიდ სოციალისტურ საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს.

სალამი და მადლობა ჩვენს მასწავლებელსა და მეგალითს—საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას).

სალამი და მადლობა ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარს, დიდ სტალინს!

ბერლინი 1952 წლის 12 ივლისი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის პრეზიდიუმი“

მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის გენერალური საბჭოს სესია

ლონდონი, 14 ივლისი. (საკადესი). 13 ივლისს გაიმართა მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის გენერალური საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობისა და ყველა ხალხისადმი, აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს რეზოლუციები იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ. მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის გენერალურმა საბჭომ, რომელიც პირველად შეიკრიბა მას შემდეგ, რაც იგი არჩეულ იქნა 18 მაისს მშვიდობის მომხრეთა ინგლისის კონფერენციაზე, მოისმინა გორდონ შაფერისა და პროფესორ ბერნალის მოხსენებანი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის შესახებ.

შაფერი შეეხო გერმანიის მდგომარეობას. მან თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბონისა და პარიზის შეთანხმებებს, პასუხს აგებენ ევროპაში დაძაბულობის სერიოზული გაძლიერებისათვის.

პროფესორმა ბერნალმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა რეზოლუციებს იაპონიის შესახებ და კორეაში ომის შესახებ, და იგ ფარეის მოხსენება ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ დაახასიათა როგორც „განსაკუთრებით დასაბუთებული და მეცნიერულად დოკუმენტირებული სიტყვა“, რომელიც ადასტურებს ამერიკელთა დანაშაულს.

მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის გენერალურმა საბჭომ კვლავ აირჩია გ. შაფერი აღმასკომის თავმჯდომარედ, ჯ. ნ. პრიტი — პრეზიდენტად, დანკენ ჯონსი—მდივნად და უ. უენრაიტი — ორგანიზაციულ მდივნად, აგრეთვე მიიღო მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის მიმართვის ტექსტი.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია

პარიზი, 14 ივლისი. (საკადესი). 12 და 13 ივლისს პარიზში მიმდინარეობდა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს სესია. სესიამ განიხილა ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიის სახელით.

თავის მოხსენებაში ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ აღნიშნა, რომ ფრანგი ხალხი მოწოდებულია უდიდესი როლი შეასრულოს დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინების წინააღმდეგ და ომის ამერიკელი გამჩაღებლების გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა მიზანია „ელბის გადაქცევა ევროპის 38-ე პარალელად“. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის მებრძოლთა ამოცანაა დაიცვან საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობა და კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებანი.

სესიაზე დასკვნითი მოხსენება გააკეთა მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ივ ფარემ, რომელმაც გამოაცხადა, რომ დაიწყო კამპანია ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოსამზადებლად, რომელიც 5 დეკემბერს გაიხსნება ვენაში.

თურქეთის საგარეო ვაჭრობის კრიზისი

სტამბული, 15 ივლისი. (საკადესი). როგორც გაზეთი „დიუნია“ იუწყება, სტატისტიკური ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან მაისის ბოლომდე თურქეთის საერთაშორისო ფასონრივი გამოხატულებით შეადგენს 448.900 ათას თურქულ ლირას. იმპორტი ამავე პერიოდში ფასობრივი გამოხატულებით შეადგენს 607.100 ათას თურქულ ლირას. ამრიგად, თურქეთის საგარეო ვაჭრობის დეფიციტი ამ პერიოდში უდრის 158.200 ათას თურქულ ლირას.

თამბაქოს ფოთოლი უხვად შემოვიდა

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). წელს ლაგოდეხელი კოლმეურნეები თამბაქოს უხვ მოსავალს იღებენ. თამბაქოს შეტეხა მასობრივად არის გაჩაღებული. ივლისის მეორე ხუთდღიურში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 357.000 ზონარმეტრისა შეტეხილი და ანემსილია 584.092 ზონარმეტრი თამბაქო.

რაიონში მრავალია ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ხუთდღიურ დავალებას ერთიორად და ერთისამად ასრულებენ. მაგალითად, სოფელ ლელიანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ გათვალისწინებული 23.000 ზონარმეტრის ნაცვლად 80.608 ზონარმეტრი თამბაქო შეტეხა და ანემსა. გეგმებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე სოფელ აფენის სტალინის სახელობის, ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

სოფელ ჭაბუკიანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ა. რეხვიაშვილი) პირობა დადო წელს შარშანდელზე 150-მდე ტონით მეტი თამბაქო ჩააბაროს სახელმწიფოს.

ჯიშთა გამოცდის პუნქტში

კაჩრეთი. (სპეც. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ არსებობს ჯიშთა გამოცდის პუნქტი. მარტო ხორბლის ჯიშების საწარმოო გამოცდისათვის 42 ჰექტარია გამოყოფილი. ამ ნაკვეთებზე დათესილია 15 ჯიშის შემოდგომის ხორბალი.

კლიმატური პირობების შეფარდებით საკონკურსო გამოცდაში ამჟამად არის დოლის პური 35/4, „ნოვოუკრაინკა“-83, კახურა-44, კახი-8, წოლოსაწარმოო გამოცდაში — დოლის პური 35/4 და „კოოპერატორკა“. ცდა მიმდინარეობს აგრეთვე ნაწვერალზე და მინერალური სასუქების ქვეშ. ნაწვერალზე ნათესი დოლის პური 35/4 და დოლის პური 18-46 შეფასებულია 5 ბალით. საცდელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მიიღებენ სულ მცირე 22 ცენტნერ ხორბალს.

III.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპლოატაციის, სოციალური ჩაგვრის გაძლიერებას ერთვის შავი რეაქციის ველური პარპაში, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება, პოლიტიკურ თავისუფლებათა უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია. გააფთრებით ემზადებიან რა მესამე მსოფლიო ომისათვის, ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ ქვეყანაში ამყარებენ ფაშისტურ წესებს, დგებიან საფინანსო ოლიგარქიის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური წრეების აშკარა ტერორისტული დიქტატურის გზაზე.

უკვე მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა 700-ზე მეტი ფაშისტური ორგანიზაცია. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, „ამერიკა უწინარეს ყოვლისა“, „ამერიკული მოქმედება“, „ამერიკული ლეგიონი“, „ამერიკის თავისუფლების ლიგა“, „ქრისტიანთა ფრონტი“ და სხვ. დიდი ხნის განმავლობაში დაკავშირებული იყო გერმანელ ნაცისტებთან, წარმოადგენდა ჰიტლერის პირდაპირ აგენტურას ამერიკაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტი ტრუმენი, ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად გაძლიერდა. ფაშისტი არამზადები არბევენ დემოკრატიული ორგანიზაციების შენობებს, აწყობენ შეიარაღებულ თავდასხმებს პროგრესულ მოღვაწეებზე, მშვიდობის მომხრეებზე. ისინი ლინჩის წესით ასამართლებენ სრულიად უდანაშაულო ზანგებს, რათა სისხლიანი ტერორით დააშინონ მასები, გატეხონ მათი მზარდი წინააღმდეგობა მილიარდერთა და მილიონერთა აგრესიული გეგმებისადმი.

ფაშისტი ბანდიტების უმსგავსობას ყოველნაირად აქებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის მთავრობამ, რომელიც უოლ-სტრიტის ბანკირების ნებას ასრულებს, ომისშემდგომ პერიოდში მიიღო მთელი რიგი კანონები, რომლებიც სპობენ ამერიკის კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებებს, და ამერიკაში ამყარებენ საფინანსო მაგნატების აშკარა ტერორისტული დიქტატურის რეჟიმს. ამ დიქტატურის იარაღია ეგრეთწოდებული ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია. აი ამ კომისიის საქმიანობის ზოგიერთი მაგალითი. 1950 წლის შუა ხანებში მან საპყრობილეში ჩასვა ანტიფაშისტ ემიგრანტთა დამხმარე გაერთიანებული კომიტეტის საბჭოს 11 წევრი, რომლებსაც ბრალად დასდო „კონგრესისადმი უპატივცემლობა“. ამ პროგრესულ მოღვაწეთა „დანაშაული“ ის იყო, რომ ისინი დახმარებას უწევდნენ ფრანკისტული ჯურღმულებიდან გაქცეულ ესპანელ ანტიფაშისტებს. იმავე წელს ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევმა კომისიამ საპყრობილეში გაგზავნა ჯგუფი კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატებისა მათი პროგრესული რწმენისათვის, მშვიდობის დასაცავად მათი ბრძოლისათვის.

ამ კომისიის მასალებით პატიმრობა მიესაჯა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის 11 ხელმძღვანელს. ამერიკის კომუნისტური პარტია გაბედულად გამოდის იმპერიალისტების მიერ ახალი ომის მზადების წინააღმდეგ, იბრძვის ამერიკელი ხალხის ძირეული ინტერესებისათვის.

1950 წლის სექტემბერში კონგრესმა მიიღო შინაგანი უშიშროების კანონი, რომელიც ცნობილია მაკკარენის კანონის სახელწოდებით და რომლითაც სპეციალურ რეგისტრაციაში უნდა იქნას გატარებული ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყველა ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა პროგრესული ორგანიზაციები. ამ ფაშისტური კანონის თანახმად, კომპარტიისა და სხვა პროგრესული და დემოკრატიული ორგანიზაციების წევრებს აცხადებენ „ძირგამომთხრელ“ ელემენტებად, უკრძალავენ მათ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში მუშაობას. ამ ორგანიზაციების წევრებს უფლება არა აქვთ სთხოვონ სახელმწიფო ორგანოებს მათთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემა. მათ აკრძალული აქვთ საზღვარგარეთ წასვლა. ასეთი განცხადების შეტანის თვით ფაქტიც კი ცხადდება „დანაშაულად“, რომლისთვისაც განცხადების შემტანი შეიძლება დაჯარიმებულ იქნას 10.000 დოლარით ან მიესაჯოს 5 წლის პატიმრობა.

ამერიკის 150 ქალაქისა და შტატის ადგილობრივმა ხელისუფლებმა ტრუმენის მთავრობის წაქეზებით მიიღეს ანტიკომუნისტური კანონები „წითლების“ შესახებ. მაგალითად, არკანზასის შტატში კომუნისტებს აკრძალული აქვთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ჯერსი-სიტის შტატში ფაშისტმა ურჯუკებმა მიიღეს დადგენილება, რომელიც მოითხოვს პროგრესული ორგანიზაციების წევრთა სავალდებულო რეგისტრაციას იმ შემთხვევაშიც კი, ...თუ ისინი შტატის ტერიტორიაზე გაივლიან.

ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ამერიკაში ფაშისტურ წესებს ამყარებენ, ყოველნაირად აღვივებენ ეროვნულ შუღლს. საშინელ დევნასა და დისკრიმინაციას განიცდიან ზანგები. წლითიწლობით იზრდება ზანგების ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევათა რიცხვი. ფაშისტი კაციჭამიები ქალაქების ზანგთა უბნებში აწყობენ რბევას, ზანგებს შესაძლებლობას ართმევენ იშოვნონ სამუშაო, მიიღონ ელემენტარული განათლება.

ამერიკელმა ჯალათებმა ელექტროსკამზე სიკვდილით დასჯეს ზანგი მუშა ვილი_მაკგი, რომელსაც ყალბად დასდეს ბრალი თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაში. მიუხედავად ბრალდების აშკარა უსაფუძვლობისა და მის დასაცავად მოწყობილი ფართო საზოგადოებრივი კამპანიისა, ვილი მაკგი დემონსტრაციულად მოკლეს 1951 წლის 8 მაისს. მისი სიკვდილით დასჯა სიგნალი გახდა ზანგთა წინააღმდეგ ახალი პროვოკაციული პროცესების მოსაწყობად.

ომისშემდგომ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაძლიერდა ეგრეთწოდებულ არაამერიკული წარმოშობის პირთა დევნა. განსაკუთრებული რეპრესიები განიცადეს ამერიკაში მცხოვრებმა სლავური წარმოშობის მშრომელებმა. მაკკარენის რეაქციული კანონი იუსტიციის მინისტრს უფლებას ანიჭებს სლავური წარმოშობის პირები გაასახლოს რაიმე ბრალდების წარუდგენლად. ამ ურჯუკული კანონის საფუძველზე მარტო 1950 წლის თებერვალში აღძრულ იქნა 14.000 საქმე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ადმინისტრაციული გაძევების შესახებ. უცხო წარმოშობის პირთათვის შექმნილია სპეციალური საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც უკვე იტანჯება ათეულ ათასობით ადამიანი.

ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელი მასები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აჩაღებენ ბრძოლას მშრომელთა საარსებო უფლებებზე კაპიტალისტური მონოპოლიების შეტევის წინააღმდეგ. 1949 წლის დამლევს 29 შტატში გაიფიცა ფოლადამსხმელო მრეწველობის 500 ათასი მუშა. 1950 წელს ამერიკაში იყო 4.700 გაფიცვა, 30 პროცენტით მეტი, ვიდრე 1949 წელს.

საგაფიცვო მოძრაობის ტალღა კვლავ იზრდება, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა მშვიდობისათვის. ამ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამერიკის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები.

კორეაში დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ, ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული დამპყრობლური გეგმების წინააღმდეგ მშრომელთა გაძლიერებული ბრძოლა მოწმობს, რომ ამერიკელი მილიარდერებისა და მილიონერებისათვის ადვილი როდი იქნება ჩაბან ამერიკელი ხალხი ახალ სამხედრო ავანტიურებში.

ვ. ნადეჟდინი.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი საბჭოთა ხალხის შესანიშნავი გამარჯვებაა

ბუქარესტი, 14 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ კვლავ რუმინეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებში, ხალხმრავალ კრებებზე მშრომელნი სიხარულს გამოთქვამენ კომუნიზმის მშენებელთა ახალი დიდი გამარჯვების გამო.

მაგალითად, ბიკაზში, ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივის კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

საბჭოთა მშენებლების ახალი შესანიშნავი გამარჯვება აღგვაფრთოვანებს იმისათვის, რომ მტკიცედ ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელებისათვის, კიდევ უფრო აღმავლობით ვიმუშაოთ, რათა მოვაახლოოთ ის დღე, როცა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სახელოვან მშენებელთა მაგალითისამებრ ჩვენ შევძლებთ ეუბატაკოთ პარტიას და მთავრობას სოციალისტური მშენებლობისა—ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის დამთავრების შესახებ.

რუმინეთის მშენებლობისა და სამენ მასალათა წარმოების მინისტრი გ. ხოსუ სტატიაში „დიდი მაგალითი“, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „სკინტეიაში“, წერს:

საბჭოთა კავშირის უდიდესი დახმარების მეოხებით რუმინელი ხალხი ქმნის დიდ სოციალისტურ მშენებლობებს—დუნაი-შავი ზღვის არხს, ელექტროსადგურებს, ბუქარესტის პოლიგრაფიულ კომბინატს—„სკინტეიის სახლს“ და სხვა ობიექტებს. ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებელთა მაგალითი რუმინელ მშრომელებს აღფრთოვანებს პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

უნგრეთის პრესა ვოლგა-დონის სანაოსნო არხის შესახებ

ბუდაპეშტი, 14 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის საზოგადოებრიობა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრებას და მისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნებას. კვირის ნომერში გაზეთი „საბად ნეპი“ ათავსებს ვრცელ სარედაქციო სტატიას „ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხი მაგალითია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის“, რომელშიც წერს:

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 2 წლით შეემცირებინა არხის მშენებლობის ვადა. იმპერიალისტებს არ სჯეროდათ, რომ ეს შესაძლებელია. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა განახორციელეს ეს. იმპერიალისტები, განაგრძობს გაზეთი, თავისი საზომით ზომავდნენ და მოტყუვდნენ.

არხი, წერს შემდეგ გაზეთი, ააშენეს სტალინის აღზრდილებმა, საბჭოთა ადამიანებმა, რომელთა ძალა უფრო მძლავრი და რეალურია, ვიდრე ზღაპრულ დევგმირთა ძალა. საბჭოთა ადამიანები თავდადებით აშენებენ კომუნიზმს, მძლავრად ავითარებენ ქვეყნის საწარმოო ძალებს.

ბულგარელი მშრომელნი საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების შესახებ

სოფია, 14 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის პრესა აქვეყნებს სოციალისტური შრომის გმირთა, დამიტროვული პრემიის ლაურეატთა, მეცნიერთა, მწერალთა აზრებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაზე „ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაზე არხისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ქალაქ დიმიტროვგრადის მშენებელი-მეარმატურე დიმიტროვული პრემიის ლაურეატი ი. ბოიაჯიევი გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტში“ წერს: აღტაცებული ვარ საბჭოთა მშენებლების წარმატებით, რომლებმაც ესოდენ მოკლე ვადაში შექმნეს ვ. ი. ლენინის სახელობის გრანდიოზული ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

მე თვითონ ვყოფილვარ იმ ადგილებში, სადაც არხი გადის. ეს ადგილები უწყალო იყო. ახლა, დიდი მდინარეების წყალით მორწყულნი, ისინი ნაყოფიერ მინდვრებად გადაიქცევიან. მახარებს საბჭოთა მშენებლების გიგანტური ნაბიჯები და უდიდესი სურვილი მაქვს კიდევ უკეთესად შევითვისო მათი მდიდარი გამოცდილება.

იაპონელი ხალხი აღნიშნავს იაპონიის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავს

ტოკიო, 14 ივლისი. (საკდესი). მთელ იაპონიაში იმართება მიტინგები და კრებები იაპონიის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად.

იაპონიის პრესა იუწყება, რომ 12 ივლისს იაპონიის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა 24 მიტინგი და კრება. 13 ივლისს გაიმართა 12 მიტინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 5.000-ზე მეტმა კაცმა.

13 ივლისს ტოკიოში და მის დასავლეთ მიდამოებში, კერძოდ ქალაქ მუსასინოში, ფაქტიურად შემოღებულ იქნა საალაყო წესები. დემონსტრაციის მოლოდინში მობილიზებულ იქნა სახელმწიფო პოლიციის ყველა ნაწილი და ტოკიოს მუნიციპალური პოლიციის 27.000 პოლიციელი. პოლიციელები და აგენტები აჩერებდნენ და ამოწმებდნენ ავტომობილებს, ჩხრეკდნენ მგზავრებს მატარებლებში, ველოსიპედისტებსა და ქვეითებს. პრესის ცნობებით, პოლიციამ მიიღო ბრძანება დაუნდობლად გაუსწორდეს დემონსტრანტებს.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი

იტალიური გაზეთის ცნობები

რომი, 13 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ავანტი“ აქვეყნებს დაწვრილებითს ცნობებს ხმელთაშუა ზღვაში ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის დანიშვნის საკითხში ინგლის-ამერიკის უთანხმოების შესახებ. თვინის მთავრობასთან დაახლოებულ წრეებში მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი ცნობები საბერძნეთში ინგლისის ყოფილი ელჩის ლიპერის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ინგლისის მთავრობის დავალებით მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაემგზავრა ათენში, როგორც „უაღრესად კერძო პირი“. ლიპერს დავალებული ჰქონდა კავშირი გაება მეფე პავლესთან და ზოგიერთ ნდობით აღჭურვილ პირთან, რათა დაერწმუნებინა ისინი, რომ ლონდონი მზად არის დაეხმაროს საბერძნეთს გაითავისუფლოს თავი მის საშინაო საქმეებში ამერიკელების შემაწუხებელი ჩარევისაგან. ლიპერსა და მის თანამოსაუბრეებს შორის გარკვეული შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული ინგლისის მთავრობის წარმომადგენლის მიერ დასახული შესაძლო პოლიტიკური მოქმედების გამო. სავსებით ბუნებრივია, რომ ლიპერი მიზნად ისახავდა უზრუნველეყო საბერძნეთის მხარდაჭერა მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის სამხედრო ძალების სარდლის პოსტზე ინგლისელის დანიშვნის საკითხში.

რაც შეეხება ამერიკის მანევრებს ამ საკითხში, ფრიად საგულისხმო სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის კონელის განცხადება. უკანასკნელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის ელჩებს რომში, ათენსა და ანკარაში დაავალა ეცადონ, რათა შესაბამისმა მთავრობებმა იკისრონ ფორმალური ვალდებულება, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს მომავალ სესიაზე ისინი მხარს დაუჭერენ ამერიკის კანდიდატს ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის პოსტზე.

როგორც კონელმა განაცხადა, ინგლისს მშვენივრად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხმელთაშუა ზღვას, მაგრამ, რამდენადაც ახლა ინგლისი სუსტია, მან ვერ შეძლო აღიდგინა თავისი პოზიციები არა მარტო იტალიაში, არამედ საბერძნეთში და თურქეთშიც კი. ამერიკის შეერთებულ შტატებს... არ შეუძლიათ უგულებელყონ ხმელთაშუა ზღვის ისპარეზი და მისი ეკონომიურად გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა. კონელიმ დასძინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოში უილიამ დრეიპერს დავალება მიეცა მიიღოს ანალოგიური ვალდებულებანი საფრანგეთის მთავრობის მხრივ, რომელსაც სამაგიეროდ აღუთქვეს ამერიკელთა უფრო ფართო მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვის რაიონში საფრანგეთის ინტერესებისა და კომუნიკაციების დაცვაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაიწყო პრეზიდენტობის კანდიდატების წამოყენება. (გაზეთებიდან).



დულარი: (ეიზენჰაუერს, ჰარიმანს, სტივენსონს...) — თუ ვინ იქნება თქვენგან არჩეული პრეზიდენტად, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; პრეზიდენტი ვარ მე.

ნახატი ი. თბილელისა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 14 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ფრონტის ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთის ფრონტზე, კოსონის სამხრეთით, მოწინააღმდეგემ არტილერიის დახმარებით დღის განმავლობაში ოცზე მეტი იერიში მოიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

სხვა ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს ჩვენმა ჯარებმა დასავლეთის სანაპიროსთან, ნამფხოს რაიონში ჩაძირეს მტრის ორი ხომალდი, რომლებიც არტილერიას უშენდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

ჩვენმა საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა დღეს ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი და დააზიანეს ექვსი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის დასახლებულ პუნქტებზე ბარბაროსულ თავდასხმებში.

ჰაერის ამერიკელი მეკობრეები ხოცავენ ამერიკელ სამხედრო ტყვეებს კორეაში

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 14 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოსცა ცნობა:

დღეს კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის დელეგაციას 11 ივლისის სისხლისღვრის წინააღმდეგ, რომლის დროს ფხენიანის გარეუბანში № 9 ბანაკში მოკლულ და დაჭრილ იქნა 110 ტყვე ამერიკელი.

პროტესტში ნათქვამია:

„1952 წლის 11 ივლისს დაახლოებით 23 საათზე თქვენმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს სამხედრო ტყვეებს ჩვენს № 9 ბანაკს მაიონში (ფხენიანი). 13 ტყვე მოკლულ იქნა, 19—მძიმედ დაიჭრა, 53—მსუბუქად დაიჭრა და 25 უგზოუკვლოდ დაიკარგა. მე მტკიცე პროტესტს ვუცხადებ თქვენს მხარეს ამ სერიოზული სისხლისღვრის წინააღმდეგ.

სამხედრო ტყვეების ამ ბანაკს აქვს აშკარა გამოსაცნობი ნიშნები, რომელთა შესახებ ორივე მხარეს შორის მიღწეული იყო შეთანხმება, და წინათ თქვენ გეცნობათ მისი ზუსტი ადგილმდებარეობა. თქვენი უწესრიგო დაბომბვა სრულიად არღვევს შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე თქვენს მხარეს არ მიუღია ღონისძიებანი თქვენი თვითმფრინავების მიერ ჩვენი სამხედრო ტყვეთა ბანაკების დაბომბვისა და ცეცხლის დაშენის ხუთ შემთხვევასთან დაკავშირებით, მოხდა სამხედრო ტყვეთა ჩვენი № 9 ბანაკის დაბომბვის ახალი შემთხვევა.

ეს იმის ახალი უდავო დამამტკიცებელი საბუთია, რომ თქვენ თვითნებურად არღვევთ საერთაშორისო სამართალსა და ჰუმანურობის პრინციპებს. ახორციელებთ რა მშვიდობიანი ქალაქების დაბომბვის ბარბაროსულ პოლიტიკას, თქვენ იქამდე მიდიხართ, რომ საკუთარ, ამერიკელ სამხედრო ტყვეებს ხოცავთ. თქვენი მხარე სწრაფად და მთელი პასუხისმგებლობით უნდა გამოეხმაუროს ამ სერიოზულ სისხლისღვრას. ყოველგვარი ცდა თავიდან აიცილოთ პასუხისმგებლობა და განაგრძოთ ორივე მხარეს შორის მიღწეული შეთანხმების დარღვევა, მხოლოდ გაადიდებს თქვენს დანაშაულს“.

დღეს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციები სრული შემადგენლობით განაგრძობდნენ დახურულ სხდომას.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 15 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა მიერ კესონიდან გამოგზავნილ 14 ივლისის ცნობაში ნათქვამია:

დღეს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა ამერიკელებს პროტესტი განუცხადა სამხედრო ტყვეების ახალი დასჯის წინააღმდეგ. პროტესტში, რომელიც გაეგზავნა ამერიკის მხარის მთავარ დელეგატს გენერალ-მაიორ ჰარისონს, ნათქვამია:

„როგორც თქვენი პრესის ცნობებიდან ჩანს, გასულ კვირაში თქვენ მოგიკლავთ ერთი და დაგიჭრიათ კიდევ სამი ჩვენი ტყვე კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში და ოთხი ტყვე — კუნძულ იონჩხოდოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში.

ამის გამო პროტესტს ვაცხადებთ. თქვენ უნდა მოგვცეთ სერიოზული ახსნა-განმარტება სისხლისღვრის ამ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ყოველგვარი ძალადობა ჩვენი ტყვეების მიმართ“.

ამერიკის ავიაციის პროვოკაციული თავდასხმები ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზე

პეკინი, 14 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა 13 ივლისს მუკდენიდან გადასცა:

აქ მყოფმა მეთვალყურემ განაცხადა, რომ 11 ივლისს ანდუნზე საჰაერო თავდასხმა, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა 49 ჩინელი მოქალაქე, მხოლოდ ერთია იმ მრავალი დანაშაულიდან, რაც ამ უკანასკნელ დროს ჩაიდინა ამერიკის ავიაციამ. აპიანურებენ და ფუშავენ რა მოლაპარაკებას კორეაში დაზავების შესახებ, ამერიკელი აგრესორები მიმართავენ ამ პროვოკაციებს და მრავალ სამხედრო თვითმფრინავს გზავნიან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში შესაჭრელად.

11 ივლისს 76 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი 20 ჯგუფად შეიჭრა ლიაოდუნის პროვინციის ქალაქ ანდუნის და ანდუნის, კუანდიანის, ფინჩენის და ჯუანხეს მაზრების საჰაერო სივრცეში.

ამერიკის 8 თვითმფრინავმა, რომლებმაც ქალაქ ანდუნს გადაუფრინეს 13 საათსა და 57 წუთზე, ბარბაროსული სროლა აუტეხეს ქალაქის მშვიდობიან მოქალაქეებს და ამასთან დაჭრეს და მოკლეს 49 კაცი.

მეთვალყურემ აღნიშნა, რომ ეს სერიოზული ინციდენტი უმძიმესი დანაშაულია ყველა იმ ბრონტმოქმედებიდან, რომლებიც ამერიკის ავიაციამ ჩაიდინა უკანასკნელ რამდენიმე თვეში ჩინეთის ტერიტორიაზე.

მან თქვა, რომ 29 თებერვლიდან 10 ივლისამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცე დაარღვია 7.073 ამერიკულმა თვითმფრინავმა, რომლებიც შეიჭრნენ 1.662 ჯგუფად. ზოგიერთმა ამ ამერიკულმა თვითმფრინავმა გადმოყარა ბაქტერიოლოგიური ბომბები, სხვებმა კი 39 შემთხვევაში დაბომბეს და სროლა აუტეხეს ლიაოდუნის პროვინციის ქალაქ ანდუნს, აგრეთვე ანდუნის, ლინძიანის, ძიანის, კუანდიანის, ფინჩენისა და ჯუანხეს მაზრებს. ამ თავდასხმების შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა 23 მშვიდობიანი ჩინელი მოქალაქე, მოსპობილია 12 სახლი, 1 ლოკომოტივი, 2 რკინიგზის ვაგონი და სხვა ქონება.

საავიტაციო-ტურისტული ავტოგადარბენის კოლონა სტარტზე თბილისში, ბერიას მოედანზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა

საავიაციო-ტურისტული ავტოგადარბენა

13 ივლისს თბილისიდან სუხუმისაკენ გავიდა საავიტაციო-ტურისტული ავტოგადარბენის მონაწილეთა კოლონა, რომელიც „მოსკვიჩის“ მარკის მცირელიტრაჟიანი ავტომანქანებისაგან შედგება. ეს გადარბენა მოწყობილია თბილისის ავტომოტოკლუბის მიერ საუკეთესო მძღოლების გამოვლინების, მშობლიური კუთხის გაცნობისა და საავტომობილო სპორტის პოპულარიზაციის მიზნით.

გადარბენის მარშრუტია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, სუხუმი. ერთი დღით შესვენების შემდეგ კოლონა წამოვა უკან თბილისისაკენ ზუგდიდის, ცხაკაიის და ქუთაისის გამოვლით.

გზადაგზა ავტოგადარბენის მონაწილენი დათვალიერებენ სიძველეებს, ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს, ახალშენებლობებს. გადარბენაში მონაწილეობენ ინდივიდუალურ ავტომანქანათა მფლობელი სპორტსმენი-ავტომობილისტები. გადარბენის კომანდორია ამხ. ე. იანუშეკი, მოადგილე პოლიტიკური მუშაობის ხაზით ამხ. შ. არველაძე.

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

კალათბურთსა და ფრენბურთში გამარჯვებული გუნდები

დამთავრდა კალათბურთსა და ფრენბურთში მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება, რომელიც სუხუმში მიმდინარეობდა. შეჯიბრებაში თავი ისახელა თბილისის ოლქის კალათბურთელ ვაჟთა პირველმა გუნდმა, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისის ოლქის ვაჟთა გუნდი, მესამეზე—აჭარის ასს რესპუბლიკისა, მეოთხეზე — თბილისის ოლქის მეორე გუნდი, ხოლო მეხუთე ადგილზე—აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუნდი. სამხრეთ ოსეთის გუნდი ამ სპარტაკიადაზე კალათბურთშიც, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, უკანასკნელ ადგილზეა.

კალათბურთელ გოგონათა გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა თბილისის ოლქის პირველმა გუნდმა და ამით ერთხელ კიდევ გაამართლა სპაატაკიო სახელი სსრ კავშირის ჩემპიონისა კალათბურთში. აღსანიშნავია გუნდის მწვრთნელების — სსრ კავშირის სპორტის ოსტატის თ. გეგელაშვილისა და გ. ბაბახანიდის ნაყოფიერი მუშაობა გუნდის შემადგენლობასთან. კალათბურთელთა შორის მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის ასსრ მოსწავლე გოგონათა გუნდი (მწვრთნელი ტ. სერგიაშვილი), რომელმაც აგრეთვე წარმატება გვიჩვენა. მესამე ადგილი მოიპოვა თბილისის ოლქის მეორე გუნდმა, მეოთხე—ქუთაისის ოლქის მოსწავლე კალათბურთელ გოგონათა გუნდმა.

შეჯიბრებას სჯიდა საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე.

* * *

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში თავი ისახელეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოსწავლე ფრენბურთელთა გუნდებმა. როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა შორის პირველობა მოიპოვეს სუხუმელმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც გამოამეცნენს თამაშის კარგი კლასი და მომზადება. სუხუმელ ფრენბურთელ გოგონათა გუნდი (მწვრთნელი ე. სირაძე) უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე თბილისელ ფრენბურთელ გოგონათა გუნდი. ამრიგად, პირველ ადგილზე როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა შორის გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ გუნდები, მეორე ადგილზე — თბილისის ოლქის პირველი გუნდი, მესამეზე—აჭარის ასს რესპუბლიკის, ხოლო დანარჩენ ადგილებზე თბილისის ოლქის მეორე გუნდი და ქუთაისის ოლქისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსწავლე ვაჟთა და გოგონათა გუნდები.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოხსნა ამხ. ა. ს. ფარულავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან, რადგან მან ვერ უზრუნველყო კომიტეტის ხელმძღვანელობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ბ. მ. კვინიხიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამხ. გ. პ. ხოშერიკი—საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი: მოწინავე — გავაუმჯობესოთ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 28-ე ტომი ქართულ ენაზე.

დღეს ვოლგა-დონზე.

მოსკოვის სახელობის არხის 15 წლისთავი, ახალი შრომითი აღმავლობა რუსთავში. რკინიგზელის დღის შესახვედრად.

მეორე გვერდი: საერთო სათაურით „სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი“ წერილები: ს. ეფრემიძე — სამუშაო გეგმა. მ. მაზანაშვილი — სერიოზული ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციაში.

გ. ბოჭორიშვილი — გეგმა და სინამდვილე.

მკითხველთა წერილები. რედაქციის ფოსტა.

მესამე გვერდი: თ. ჯიბუტი — საგლინავ ჩარხებთან. ახალციხის შახტებში.

ა. პირადოვი — ტიტოს იუგოსლავია — ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების კოლონია.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის პრეზიდიუმის მისასალმებელი წერილი ი. ბ. სტალინისადმი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესის გამოხმაურება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგების გამო. უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. მერკვილაძე

საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის საკავშირო-ეკონომიურ, საღრიცხვო-ეკონომიურ, სახელმწიფო მომარაგების, ეკონომიკა-დაგეგმვის და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზეა. ინსტიტუტი სამუშაოსაგან მოუწყვეტლად ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს: საბჭოთა ვაჭრობის ეკონომისტებს, ბუხჰალტერ-ეკონომისტებს, სახელმწიფო მომარაგება-გასაღების ორგანოების ეკონომისტებს და საქონელმცოდნეებს.

კურსდამთავრებულებს ინსტიტუტი ანიჭებს იმავე უფლებებს, რასაც სტაციონარული უმაღლესი სასწავლებლები.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), მათემატიკაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და გეოგრაფიაში, საქონელმცოდნეობის ფაკულტეტებზე ნაცვლად ისტორიისა და გეოგრაფიისა—ფიზიკასა და ქიმიაში.

საგამოცდო საგნებში კონსულტაციები იწარმოებს 1 აგვისტოდან, ხოლო გამოცდები 10 აგვისტოდან.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, ტექნიკუმი წარჩინებით, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ფრიადოსნის ატესტატით.

განცხადებას უნდა დაერთოს (რუსულ ენაზე): ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამსახურის ადგილიდან და 5 ფოტოსურათი.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის ფილიალის დირექციაში საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე (გარდა შაბათისა), კვირაობით 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 30.

თბილპურეაჭრობას სჭირდება მაღაზიებში სამუშაოდ

პურის გამყიდველები, პურის მიმღებები და მტვირთავი მუშები

მსურველები გაივლიან ათდღიან სემინარს დახლის მუშაკის მოვალეობის შესასწავლად.

სამუშაოზე მიიღებიან ქალები და მამაკაცები 18 წლის ასაკიდან.

მსურველებმა პირობების გასაგებად უნდა მიმართონ თბილპურვაჭრობის დირექციას დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ბერიას მოედანი, პუშკინის ქ. № 7. ტელ. № 3-93-02.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

17 ივლისს

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

06.25 — გრიგოლ კილაძის პირველი სიუიტა; 07.30 — ბლანტერის სიმღერები; 07.40 — პიონერთა დაფიონი; 09.20 — ნაწყვეტები დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველიდან“; 11.10 — პროკოფიევის კლასიკური სიმფონია; 11.25 — საუბარი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ; 11.40 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: რუს კლასიკოსთა ლექსები საქართველოზე; 18.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.20 — ჩეხური და პოლონური მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

20.30 — დარგომიჟსკის ოპერა „აღი“. I ანტრაქტში საუბარი: „ამერიკელი მონოპოლისტები ანადგურებენ ფერმერებს“; II ანტრაქტში ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი გ. ლეონიძის პოემიდან „სტალინი“; 00.05 — კამერული მუსიკის კონცერტი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“ (ზაფხულის, ზამთრის), **„თბილისი“, „ისანი“** (ზაფხულის, ზამთრის), **26 კომისრის სახელობის** (ზაფხულის, ზამთრის) — გამოუცდელი ახალგაზრდები სტადიონზე; **„ოქტომბერი“, კიროვის პარკი**—მოპარული ბედნიერება; **ორჯონიკიძის პარკი** — აჯანყება უდაბნოში; **„კოლხიდა“** (ზაფხულის) — ცოცხალი ლეში, (ზამთრის)—ინდოეთში; **„დიდუბე“** (ზაფხულის)—ამბავი ნადირობისა; **ოფიცერთა სახლი**—ჯამბაზები.

შვილები გოგი, ნინო, და მარო, რძალი ნინო გვენცაძე, სიძეები ლ. ოგანჯანოვი, ი. ცინცაძე, შვილიშვილები მანანა, მერაბ იუწყებიან **ნოფიო რაუდენის ასულ იმნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 6 ს.

შვილი რეზო, და ოლია, ძმა კონსტანტინე იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **ლუბა სიმონის ასულ წივწივაძე-შაფაქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 5 ს. ჩიტაძის, 9.

საქართველოს ოტო-რინო-ლარინგოლოგთა საზოგადოება იუწყება პროფესორ **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

ქ. თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის დამსახურებული მასწავლებლის **ლუბა სიმონის ასულ წივწივაძე-შაფაქიძის** გარდაცვალებას.

დედა ეკატერინე კობახიძე, ძმები ოთარ, თენგიზ მაჭარაშვილები იუწყებიან **ნანა კობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 6 ს. ათარბეგოვის, 6.

წულუკიძის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ **გრიგოლ პავლეს-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

დედა ტასო, მეუღლე ლია, შვილები ციალა, ნინელი, ძმა ივანე, დები თეო, ანეტა, სიძეები ზ. ლომიძე, პ. შაბურიშვილი, რძლები მარიამ, თამარ გვენცაძეები იუწყებიან **პლატონ სარდიონის-ძე გვენცაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VII, დაბა სურამში.

აბასთუმნის პროფსაბჭოს სანატორიუმის კოლექტივი იუწყება **ეფროსინე დიმიტრის ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობ